საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1747-02
08/07/2024

რექტორის 2024 წლის 5 ივლისის N1735-02 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

რექტორის 2024 წლის 1 მაისის N1000-02 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. ამ ბრძანების საფუძველზე საკონკურსო მასალის შეტანის ტარიღებია 2024 წლის 3 ივნისიდან 2024 წლის 21 ივნისის ჩათვლით, ხოლო კონკურსის შედეგი უნდა დამტკიცდეს 2024 წლის 12 აგვისტოს. კონკურსის დამტკიცების თაობაზე მომზადდა 2024 წლის 5 ივლისს რექტორის ბრძანება N1735-02. აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და კონკურსის შედეგი ნაცვლად 2024 წლის 12 აგვისტოსი, ჩაიწერა 2024 წლის 1 აგვისტო. უნდა გასწორდეს ტექნიკური შეცდომა.

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის სასაფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა რექტორის 2024 წლის 5 ივლისის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული როფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის დამტკიცების შესახებ“ N1735-02 ბრძანების 1-ელ პუნქტში და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1-ელი პუნქტი:

,,1. დამტკიცდეს 2024 წლის 12 აგვისტოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას ალექსანდრე ასათიანი.‘’

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი